ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №48

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე- გამარტივებული შესყიდვით, ერთის მხრივ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო** (ქ.ბათუმი, ვ.გორგასალის ქ.№126) წარმომადგენლის სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ი/მ „ნოდარ ქობულაძე” (ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№10) შემდგომში „მიმწოდებელი“, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით “მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ქვემოთ აღნიშნული სამეურნეო საქონელი (CPV-24910000, CPV-31200000, CPV-31531000, CPV-44163110, CPV-44322300, CPV-44400000 და CPV-44521110):

№	დასახელება	განზ.ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარში)	მთლიანი ღირებულება (ლარში)		CPV კოდი
1	წებო	ცალი	1	1.5	1.50	1.50	24910000
2	დენის ჩანგალი	ცალი	2	2	4.00	60.50	31224100
3	დენის სამკაპი	ცალი	1	4	4		31224100
4	ნათურის ბუდე (პატრონა ქვის)	ცალი	3	1.5	4.50		31223000
5	საიზოლაციო ლენტა	ცალი	4	2	8.00		31224400
6	ელექტრო დენის დამაგრძელებელი	ცალი	4	10	40.00		31224810
7	ნათურა	ცალი	55	0.50	27.50	27.50	31531000
8	წყლის მილი	ცალი	2	5	10.00	10.00	44163110
9	კაბლო არხი	მეტრი	25	2	50.00	50.00	44322300
10	ონკანი	ცალი	1	23	23.00	69.00	44411100
11	ონკანი	ცალი	2	18	36.00		
12	სიფონი (დრეკადი მილი)	ცალი	2	5	10.00		44411000
13	კარის საკეტის გული	ცალი	1	10.00	10.00	10.00	44521110
	სულ:				228.50	228.50	

1.2. მიწოდების ადგილი – ქ. ბათუმი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 228.50 (ორასოცდარვა ლარი და 50 თეთრი) ლარს. მათ შორის CPV-24910000 – 1.50 ლარი CPV-31200000 – 60.50 ლარი, CPV-31531000 – 27.50 ლარი, CPV-44163110 – 10 ლარი, CPV-44322300 – 50 ლარი, CPV-44400000 – 69 ლარი და CPV-44521110 – 10 ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

3.2. „შემსრულებელი“ვალდებულია საქონელის მიწოდება განახორციელოს 2019 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით.

3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

3.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებებისაგან.

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მიწოდებულ საქონელზე, მისი ხარისხი და ყველა სხვა მახასიათებლები შეესაბამება ასეთი საქონლისადმი ზოგადად წაყენებულ სტანდარტებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხდება საქონელის ფაქტიურად მოწოდების შემდგომ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში (სასაქონლო ზედნადების ან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).

5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე უფლება აქვს შემსყიდველს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ამავე მუხლის 7.3. და 7.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდემა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ან შეამოწმოს მიწოდებული საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. საქონლის მიღება – ჩაბარება

12.1. მიწოდებული საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

12.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია საარქივო სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სასაწყობო მეურნეობის სპეციალისტი გელა გუგუშვილი.

12.3. მიწოდებული საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

17. გადასახადები და ბაჟები

17.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება „შემსყიდველს", ხოლო ერთი „მიმწოდებელს".

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქ. ბათუმი ვ.გორგასალის ქ. №126 **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო** *საიდენტიფიკაციო კოდი: 245429610* *მიმღების ბანკი: **სს „თიბისი ბანკი"*** *ბანკის კოდი: TBCBGE22* *ანგარიშის №GE62TB7901736010100015*	**ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქ.№10** **ი/მ „ნოდარ ქობულაძე** *საიდენტიფიკაციო კოდი: 61002000182* *მიმღების ბანკი: **სს. „თიბისი ბანკი "*** *ბანკის კოდი: **TBCBGE22*** *ანგარიშის №GE62TB4459236512500019*
სამმართველოს უფროსი: მ. ივანიშვილი	ი/მ ნ. ქობულაძე
Maia Ivanishvili Подписано цифровой подписью: Maia Ivanishvili DN: cn=Maia Ivanishvili, serialNumber=01018001437, o=Citizen, c=GE Дата: 2019.08.26 15:54:42 +04'00'	Nodar Kobuladze Digitally signed by Nodar Kobuladze Date: 2019.08.27 11:25:54 +04'00'